ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – თ. ს. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.11.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 141/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. ს. – ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. ს. – სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის (საჩივრის) ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 11 ნოემბერს ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში მომართვა წარმოადგინა თ. ს. ს. – მ და მოითხოვა ადვოკატ რ. ს. – სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვაში მითითებულია, რომ ადვოკატმა რ. ს. – მ მისი კლიენტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შეფარდების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში საქმის განმხილველი მოსამართლე მოიხსენია უშვერი სიტყვებით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. ს. – მ 2013 წლის 18 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ვიდეო ჩანაწერზე ნამდვილად მისი ინტერვიუა და სასამათლოს მიმართ წარმოთქმული შეფასებები მას ეკუთვნის.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი ეთანხმება ინტერვიუს დროს ნათქვამს და მიაჩნია, რომ მოსამართლეს უბრალოდ კანონდარღვევა არ ჩაუდენია, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ არც კი მოუსმინა დაცვის მხარეს, თითქოს ადვოკატები არაფერს წარმოადგენდნენ და მხოლოდ პროკურორებს შესიციინებდა თვალებში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ სხდომის მდივანი რამდენჯერმე გაუგზავნა სხდომის დარბაზში მსხდომ პროკურორებს; პროკურორები გარეთ გადიოდნენ, რეკავდნენ და შემდეგ ისევ ესაუბრებოდნენ მდივანს, რომელსაც მოსამართლესთან გზავნიდნენ. ადვოკატის განცხადებით, მსგავსი ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა მაშინ, როცა მოსამართლე გადაწყვეტილების მისაღებად იყო გასული.

2.5 ადვოკატის განცხადებით, პროცესში მონაწილე ერთ–ერთმა პროკურორმა მასთან საუბრისას თითქოს ხუმრობით, რამდენჯერმე აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს ტყუილად ჰქონდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების იმედი, რადგან მოსამართლე ვერ გაბედავდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის ძალიან ახლოს იჯდა მოსამართლესთან და დაინახა, რომ მოსამართლე შეშინებული იყო და ხელები უკანკალებდა. ადვოკატის განცხადებით, სწორედ ამის გამო განაცხადა ინტერვიუში, რომ მოსამართლე არის მშიშარა და შეკრულია პროკურატურასთან. სასამართლო უკვე პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ არის და დღეს ერთ პოზიციაზე არიან, როგორმე შეიზღუდოს მისი კლიენტის სათანადო დაცვა. ადვოკატის განცხადებით, იგივეს თქმა შეუძლია სასამართლოს თავმჯდომარე მ. ა. – ზე, რომელიც მოსამართლესთან ერთად ხვდება პროკურ ნ. – ს.

2.7 2013 წლის 28 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მოსამართლე მოიხსენია იმ ეპითეტებით, რასაც იმ მომენტში იმსახურებდა მოსამართლე. ადვოკატს მიაჩნია, რომ მოსამართლე გარიგებაში შევიდა პროკურატურასთან და ისე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო ზემდგომ ინსტანციაში, თუმცა, მისი აზრით გასაჩივრებას არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა ისე, როგორც მის სხვა საჩივრებს არ მოჰყვა შედეგი.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მისი კლიენტისათვის აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლს, რომელზეც ვრცელდებოდა "ამინისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, სასამართლოს სხდომას ესწრებოდნენ უცხოელი დამკვირვებლები და ჟურნალისტები, ამიტომ არავინ ელოდა, რომ ასეთი შედეგი დადგებოდა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა იქნებოდა გამოყენებული.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მას უსუსურობის განცდა დაეუფლა იმის გამო, რომ სასამართლომ არ მოუსმინა ადვოკატს,, ამის გამო იგი ემოციებს აჰყვა და ასეთ ვითარებაში, დაძაბულ ემოციურ ფონზე გააკეთა განცხადება მედიის წინაშე.

2.11 ადვოკატის განცხადებით, როგორც მოქალაქე რ. ს. , არ ნანობს მის მიერ გაკეთებულ განცხადებას. ადვოკატის პოზიციიდან კი განმარტავს, რომ გააზრებული აქვს, მისი განცხადებით არ უნდა შეილახოს ადვოკატთა კორპუსის რეპუტაცია.

2.12 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მას განცხადება სასამართლო დარბაზში არ გაუკეთებია. მისი რეაქცია იყო მეგობრის რეაქცია და არა ადვოკატის. ასევე, მას სასამართლო გადაწყვეტილება სამართლებრივად არ შეუფასებია. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ხუთი თვის შემდეგ დააჯარიმა სასამართლო სხდომაზე.

3. დისციპლინალური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ რ. ს. – ს მიერ ინტერვიუს მიცემისას ნათქვამი სიტყვები: ,,ნაძირლები არიან, ყველა ერთად, პროკურატურაც, სასამართლოც და ყველა ერთად. შეკრულები არიან და ნაძირლები. დამფრთხალი და ჩმორი მოსამართლე გამოვიდა, სუნი ჰქონდა რომ გამოვიდა, სუნი იყო, ყარდა, ახლოს ვიჯექი“ არის შეურაცხმყოფელი სასამართლოსადმი, როგორც ინსტიტუციისადმი, ასევე კონკრეტული მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელი პირის მიმართ, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები: ადვოკატ რ. ს. – ს მიერ ინტერვიუს მიცემისას ნათქვამი სიტყვები: ,,ნაძირლები არიან, ყველა ერთად, პროკურატურაც, სასამართლოც და ყველა ერთად. შეკრულები არიან და ნაძირლები. დამფრთხალი და ჩმორი მოსამართლე გამოვიდა, სუნი ჰქონდა რომ გამოვიდა, სუნი იყო, ყარდა, ახლოს ვიჯექი“ გაცხადებული იქნა საჯაროდ, ტელევიზიით სასამართლო ადმინისტრაციულ შენობაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

კომპაქტურ დისკზე არსებული ჩანაწერი

4.2 აღნიშნული საჯარო განაცხადი გაკეთებული იქნა საადვოკატო საქმიანობის დროს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

კომპაქტურ დისკზე არსებული ჩანაწერი

4.3 განაცხადი მიმართული იყო კონკრეტული მოსამართლისადმი, სასამართლოსადმი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

კომპაქტურ დისკზე არსებული ჩანაწერი

4.4 მომჩივანის მიერ მოწოდებული ფაქტობრივი გარემოება არ ქცეულა სადაოდ ადვოკატის მხრიდან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

დისკზე არსებული ჩანაწერის ავთენტურობაზე თანხმობა

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ რ. ს. – ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ რ. ს. – ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

6.2 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10, დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

6.4 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ განაცხადი გაკეთებული იქნა სხდომის შემდგომ აღელვებულ მდგომარეობაში მყოფი ადვოკატის მიერ, რომელიც მაღალ ემოციურ ფონზე ვერ იქნა გაკონტროლებული თავად ადვოკატის მიერ რათა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების დროს მომხდარიყო მხოლოდ კრიტიკა.

6.5 ეთიკის კომისიასთან გასაუბრებისას ადვოკატმა თავად შეაფასა საკუთარი განაცხადი და მიიჩნია, რომ სასამართლოსადმი მის მიერ გაკეთებული იქნა შეურაცმხყოფელი კომენტარი, რომ ყოველივე შეუფერებელი და მიუღებელია პროფესიისათვის. ადვოკატის განმარტებით, მისი ქცევის მიზეზი იყო მისი მაღალი ემოცია და ვერ შეიკავა თავი.

6.6 განხილვის კოლეგიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ადვოკატის დამოკიდებულება საკითხისადმი. ეთიკის კომისიისათვის მნიშვნელოვანია ადვოკატის სამართლიანი და ადექვატური დამოკიდებულება მისსავე ქცევასთან. ეთიკის კომისიის მიზანი არა მხოლოდ არაპროფესიული ქცევის პრევენცია და ადვოკატთათვის სახდელის დადება ან მათზე ზემოქმედებაა, არამედ მათთვის პრევენციის არსისა და მიზნის გაგება. ეთიკის კომისიას შეეძლო სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება, თუმცა მნიშვნელოვანია ადვოკატმა გაიგოს თუ რატომ მოხდა მისი დისციპლინირება და იცოდეს თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განცხადებები ძირითადად მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ გამოყენებული იქნას ზემოქმედების ღონისძიების სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რაც მისცემს შანსს ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მოახდინოს კრიტიკა, მაგრამ არ მიაყენოს შეურაცხყოფა მართლმსაჯულების სისტემას და მის მონაწილე პირებს. ადვოკატი ზემოქმედების ამ ღონისძიებით მიიღებს ინფორმაციას თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფელ განცხადებებს შორის ისე, რომ არ აკერძალოს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავიხუფლება. განხილვის კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ასევე ის გარემოება, რ. ს. ახალი გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში და მას ადვოკატის პროფესიული ეთიკის მხოლოდ ერთი ტრეინინგი აქვს გავლილი გაგნგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში.

6.7 ადვოკატ რ. ს. – ს მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება შეურაცმხყოფელია მართლმსაჯულების სისტემისათვის, სასამართლოსათვის, პროფესია ადვოკატისათვის და ხელს უშლის ნდობის გაძლიერებას საზოგადოებისადმი. რის გამოც ადვოკატის მიერ განხორციელებული იქნა არაეთიკური ქცევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ რ. ს. – ს – მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაგეზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ რ. ს. – ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.№32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კომისიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/